ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 68 /გ

ქ. მცხეთა 8 სექტემბერი 2016 წელი

(საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N 26 დადგენილების თანახმად)

ერთის მხრივ, თვითმმართველ თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის“ კეთილმოწყობის სამსახური, შემდგომში ,,შემკვეთი“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თალაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ი/მ ,,რატი კირკიტაძე“** შემდგომში ,,შემსრულებელი”, წარმოდგენილი ხელმძღვანელის რატი კირკიტაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ა/მანქანა ,,სინოტრუკ“266-სათვის, სახელმწიფო ნომრით AI-426AI, ტექმომსახურება(CPV 50100000).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 950(ცხრაას ორმოცდაათ) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

3.1 შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით გაწეული მომსახურების შესაბამისად ;

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემკვეთის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება შემსრულებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს შემკვეთს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

5 მხარეთა უფლება – მოვალეობები

5.1 „შემსრულებელი” კისრულობს ვალდებულებას:

5.1.1 გაუწიოს მაღალი ხარისხის მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5.2 „ შემკვეთი“ კისრულობს ვალდებულებას:

5.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 თუ ,,,შემსრულებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „ შემკვეთი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,, შემკვეთს'' უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

6.3 შესყიდვის არაჯეროვნად შესრულების, მ.შ-ის ვადაგადაცილების შემთხვევაში, ,, შემკვეთი“ უფლებამოსილია „შემსრულებელს” დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „ შემკვეთი“ და „„შემსრულებელი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.ხელშეკრულების პირობების კონტროლი

12.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ააიპ თვითმმართველ თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის“ კეთილმოწყობის სამსახურის ა/ფარეხის მენეჯერი ვლ. ყამბეგაშვილი.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„ შემკვეთი“	„შემსრულებელი”
თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	ი/მ „რატი კირკიტაძე“
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	პ/ნ 18001002850
ს/კ 436036255	ა/ა GE09BG0000000721944100
	ბანკი: საქართველოს ბანკი
დირექტორი: გ. თალაშვილი	ბ/კ BAGAGE22
	ხელმძღვანელი: რ.კირკიტაძე

ქ.მცხეთა 8 სექტემბერი 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და ი/მ ,,რატი კირკიტაძეს" შორის 2016 წლის 8 სექტემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N68 /გ ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

43603625 5

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: გ. თალაშვილი

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის ა/ფარეხის მენეჯერი: ვლ. ყამბეგაშვილი